

თვითდაფინანსებულ და სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ
ბაკალავრ სტუდენტთა სწავლის მოტივაციის კვლევა

ნინო ბექაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე (მოწვეული პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2015

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბექაური

29/07/2015

აბსტრაქტი

კვლევა ეხება თვითდაფინანსებულ და სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ სტუდენტთა სწავლის მოტივაციას. რაოდენობრივი ინსტრუმენტის საშუალებით გვსურდა დაგვედგინა, არის თუ არა კორელაცია დაფინანსების ორ განსხვავებულ ტიპსა და სტუდენტთა სწავლის მოტივაციას შორის. გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო ას ოცდაშვიდმა ბაკალავრმა, მათ შორის იყვნენ როგორც თვითდაფინანსებული, ასევე სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული სტუდენტები. კვლევის შედეგად დადგინდა რომ თვითდაფინანსებული სტუდენტები მეტად არიან მონდომებულები მიიღონ სემესტრული სტიპენდია როგორც თვითდაფინანსებული, ასევე სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული სტუდენტები ყოველდღიურად სწავლას უთმობენ 2-დან 4 საათამდე დროს მონაკვეთს. თვითდაფინანსებულ სტუდენტთა სწავლის მოტივაციის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად ფინანსური მდგომარეობა გამოიკვეთა. ახალი გამოცემებით და კვლევებით დაინტერესებაში კი სრულად დაფინანსებული სტუდენტები გამოირჩევიან.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს მიერ სრული დაფინანსება, სწავლის მოტივაცია, დაფინანსების სისტემა, სტიპენდია,

A b s t r a c t

The study refers to the self financing and the State-funded students academic Motivation. We wanted to learn determine correlation between the two types of funding system and students learning motivation by using quantitative instrument. One hundred twenty-seven bachelors participated in the survey including self-funded and the State-funded students. The study found that self-funded students are more enthusiastic to get University scholarship than State-funded students. Both type of funded students spend the same period of time for studying and learning, from 2 hours to 4 hours. lecturers incompetence is a thing that prevents self-funded students learning motivation. New publications and newest studies are reading majority of state-funded students than self funded students.

Key wards: State-funded system, learning motivation. funding system, scholarship.